სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

81234557195425

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N250223876

რეგისტრაციის თარიღი

26.02.2025 წ

ნოტარიუსი: მარიამ ნავროზაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის გამზ. N23ა, კომერციული ფართი N45 , ბლოკი "გ", II სართული
ტელეფონი: 598270730

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი
საქართველო

ორი ათას ოცდახუთი წლის ოცდაექვს თებერვალს მე, ნოტარიუს მარიამ ნავროზაშვილს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის გამზ. №23ა, კომერციული ფართი №45, ბლოკი „გ“, II სართული, მომმართა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „რონიკო“-ს დირექტორმა ბატონმა როლანდი ჯავახიამ, რომელმაც განაცხადა, რომ სურს საზოგადოების სახელით ლიკა ალხაზიშვილს მიანიჭოს გარკვეული უფლებამოსილება და ამისათვის მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება.

მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად როლანდი ჯავახიამ (დაბ. 20.10.1963წელს სენაკში, პირადი №01001000898, რეგისტრირებული: ქალაქი თბილისი, პეტრე გამყრელიძის ქუჩა, N 10) მომმართა.

მე შევამოწმე მისი უფლებამოსილება. იგი უფლებამოსილია წარმოადგინოს შპს „რონიკო“, რაც დასტურდება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერით (იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ლიახვის ქუჩა №9, სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი, თარიღი: 4/4-353;13/03/1996, საიდენტიფიკაციო კოდი: №203836974), ამონაწერის მომზადების თარიღი: 2023 წლის 11 დეკემბერს.

მე დავადგინე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა. მე, ნოტარიუსმა მარიამ ნავროზაშვილმა შევადგინე წინამდებარე მინდობილობა წავუკითხე მარწმუნებელს და განვუმარტე მისი შინაარსი. მან პირადად წაიკითხა მინდობილობა და დაადასტურა, რომ მინდობილობა სრულად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგაც პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას:

მინდობილობა

ორი ათას ოცდახუთი წლის ოცდაექვს თებერვალს როლანდი ჯავახიამ, როგორც შპს „რონიკო“-ს (ს/კ №203836974) დირექტორმა, რომელიც შემდეგში წოდებულია, როგორც “მარწმუნებელი”, წინამდებარე მინდობილობით ლიკა ალხაზიშვილს (დაბ. 28.11.1991წელს გორში, პირადი №59001123434), რომელიც შემდეგში წოდებულია, როგორც “რწმუნებული”, საზოგადოების სახელით მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

1. რწმუნებული უფლებამოსილია აწარმოოს შპს „რონიკო“-ს (ს/კ №203836974) კუთვნილ უძრავ ქონებაზე, მდებარე მისამართზე: ქალაქი თბილისი, ქუჩა ლიახვი №25 /ს.კ. 01.12.07.017.015/ დემონტაჟის, საპროექტო და სამშენებლო საქმეები. ამ მიზნით იყოს მარწმუნებლის წარმომადგენელი სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სანოტარო ბიუროში, ადმინისტრაციულ ორგანოებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, გამგეობაში, მერიასა და მის დაქვემდებარებაში არსებულ სამსახურებში, არქიტექტურის სამსახურში, ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში, ზედამხედველობის სამსახურში, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში, ქონების მართვის სამსახურში, საკრებულოში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, ჩააბაროს და მოიპოვოს ყველა საჭირო საბუთი მარწმუნებლის სახელით, გააკეთოს მარწმუნებლის სახელით ნებისმიერი სახის განცხადებები, ჩაატაროს აზომვითი სამუშაოები, შეადგინოს და მიიღოს მშენებლობის პროექტი და ნებართვა და ასევე სხვა სახის ნებართვები, გააგრძელოს მშენებლობის ნებართვის ვადები, მოახდინოს დოკუმენტების ელექტონულად ატვირთვა, ასევე მოახდინოს პროექტის შეცვლა (რეკონსტრუქცია), შეიტანოს ცვლილებები და დამატებები უკვე შეთანხმებულ პროექტში, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შემთხვევაში წარადგინოს ხარვეზის აღმოსაფხვრელი დოკუმენტები, მშენებლობის დასრულების შემდეგ გააკეთოს განახლადი შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ, მოაწეროს ხელი მარწმუნებლის მაგიერ საჭირო დოკუმენტებს და შეასრულოს ის ფორმალური მოქმედებები, რაც დაკავშრებულია ამ დავალებასთან.

2. ეს მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომლის ერთი ეგზემპლარი ინახება სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მხარეს.

3. მინდობილობა ძალაშია ორი ათას ოდახუთი წლის 30 აგვისტოს ჩათვლით.

გადახდილია 40.40 (ორმოცი ლარი და 40 თეთრი) ლარი – აქედან: სანოტარო საზღაური 30.00 ლარი, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების“ შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების (2011წლის 29 დეკემბერი, №507) 31-ე მუხლის მე-8 პუნქტისა, დღგ 5.40 ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა და რეესტრში რეგისტრაციის საფასური 5 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (2011წლის 29 დეკემბერი, №507) 39-ე მუხლისა.

მარწმუნებელი:

ნოტარიუსი მარიამ ნავროზაშვილი

